10 მიზეზი რატომ უნდა მიანიჭოთ უპირატესობა დავის გადაწყვეტას DRC-ში

დამოუკიდებლობა

DRC–ი წარმოადგენს, არასამეწარმეო იურიდიული პირის ,,საქართველოს ბიზნეს ასოციაციას“ და პროფესიონალების მიერ შექმნილ ორგანიზაციას მისი მართველი სტრუქტურა განაპირობებს საარბიტრაჟო განხილვის და არბიტრების სრულ დამოუკიდებლობას;

მოქნილობა

მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის წესებზე, ადგილზე, ენაზე, არბიტრთა რაოდენობაზე, რომლებსაც თავად აირჩევენ;

გონივრული ხარჯი

საარბიტრაჟო ხარჯების დაზოგვა და გონივრულად განსაზღვრა DRC–ის საქმის წარმოების ერთ–ერთი ძირითადი პრინციპია და კონტროლდება DRC–ის სასამართლოს მიერ;

სწრაფი განხილვა

DRC–ის საქმის წარმოების წესები ითვალისწინებს სწრაფი განხილვის მექანიზმებს, ხოლო მცირე ფინანსური დავებისათვის გათვალისწინებულია დავის დაჩქარებული განხილვის წესები;

სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფა

სასარჩელო მოთხოვნის სწრაფი უზრუნველყოფის მიზნით DRC-ის საქმის წარმოების წესები ითვალისწინებს საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებამდე საგანგებო არბიტრის მომსახურებას;

კონფიდენციალურობა

საარბიტრაჟო განხილვა დახურული და კონფიდენციალურია.

ხარისხის კონტროლი

DRC–ის სასამართლო წინასწარ ამოწმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების,ფორმალურ მხარეს, არბიტრების მიერ მასზე ხელმოწერამდე.

პროგრამული უზრუნველყოფა

DRC–ის სამდივნო ახორციელებს ნებისმიერი მიღებული საქმის პროგრამულ რეგისტრაციას და საქმის წარმოებას, რაც ხელს უწყობს დავის განხილვის ადმინისტრირებას.

ელექტრონული არქივი

DRC–ის სამდივნო ახორციელებს როგორც მხრეებისაგან მიღებული, ასევე საარბიტრაჟო განხილვის პროცესში შექმნილი დოკუმენტების ელექტრონული არქივის წარმოებას, რაც უზრუნველყოფს მათ შენახვას და მარტივად ხელმისაწვდომობას მხარეთათვის;

DRC